# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N49
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

**დ.ადიგენი** **2** მარტი 2022 **წელი**

ერთის მხრივ, **ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი მისი მერის გოჩა ქიმაძის სახით, და მეორეს მხრივ **ინდ. მეწარმე ,,ლენა მექოშვილი”** წარმოდგენილი ლენა მექოშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1] " ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი:**

1.1 ხელშეკრულების საგანია ადიგენის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის აღსანიშნავად გადასაცემი პარფიუმერიის ვაუჩერის შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად. (**CPVკოდი: 33700000**)

**მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება:**

2.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა **2100 (ორიათასასი) ლარი დღგ-ს გარეშე**

**მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი:**

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს ,,შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი;

**მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:**

4.1შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2022 წლის 7 მარტის ჩათვლით.**

4.2 შესყიდვის ობიექტის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;

**მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება -ჩაბარების წესი:**

5.1 ხელშეკრულების ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ სათანადოდ შედგენილი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა:**

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ ,,მიმწოდებლის" მხრიდან წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

**მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები:**

7.1 *შემსყიდველს უფლება აქვს:*

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე:

7.2 *შემსყიდველი ვალდებულია:*

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3 *მიმწოდებელს უფლება აქვს:*

ა) მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.4 *მიმწოდებელი ვალდებულია:*

ა) მოახდინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ბ) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულები;

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

**მუხლი 8. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას:**

8.1. მხარეები პასუხისმგებლები არიან ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი პასუხისმგებლობის შესაბამისად.

8.2. ,,მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების 0,5%-ის ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში თუ დავალიანების თანხა მიაღწევს მთლიანი ღირებულების 5%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი, გასაწევი მომსახურების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

8.4 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა:**

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში , ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

**მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:**

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

**მუხლი 11. უფლებების გადაცემა:**

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

**მუხლი 12. ფორს-მაჟორი:**

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

12.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა“ ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**მუხლი 13. დავის გადაწყვეტის წესი:**

13.1 ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული მაშინ მხარეთა შორის დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

**მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:**

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიღებისას განახორციელოს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, კონტროლი, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის/ხარისხის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებთან და მოთხოვნებთან.

14.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის და წუნდების შესახებ მიზეზის მითითებით.

14.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის/წუნი აღმოფხვრა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

14.4. კონტროლს განახორციელებს- **ზურაბ ბეთხოშვილი - ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.,**

**მუხლი: 15. ინტერესთა კონფლიქტი:**

15.1 საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში „მიმწოდებელთან“.

**მუხლი 16. სხვა პირობები:**

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16.4 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

16.5 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

**მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:**

**,,შემსყიდველი"**

**ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია**, მის: დ.ადიგენი, თამარ მეფის ქუჩა №5, ს/კ: №222729162, ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22 ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022.

მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქიმაძე

ADIGENI MUNICIPALITY

Digitally signed by ADIGENI MUNICIPALITY
Date: 2022.03.02 16:33:06 +04'00'

---

**,,მიმწოდებელი“**

**ინდ. მეწარმე ,,ლენა მექოშვილი”** , მისამართი: ქ. ახალციხე, კოსტავას ქუჩა N6ა; საიდენტიფიკაციო კოდი: №47001031475 საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი: სს ,,თიბისი ბანკი“, TBCBGE22; ანგარიშის ნომერი: GE15TB7561836010100008;

ინდ. მეწარმე ,,ლენა მექოშვილი’’

Lena Mekoshvili

Digitally signed by Lena Mekoshvili
Date: 2022.03.02 16:30:04 +04'00'

---

დანართი №1
ფასების ცხრილი

| № | საქონლის დასახელება | განზ.ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პარფიუმერიის ვაუჩერი | ცალი | 42 | 50 | 2100 |
| ჯამი(ლარი)დღგ-ს გარეშე | | | | | 2100 |

- იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციის ღირებულება აღემატება 50 ლარს, განსხვავებული თანხის ოდენობის ანაზღაურება განხორციელდება ვაუჩერის წარმდგენი პირის მიერ;
- ვაუჩერის წარმდგენ პირს, ვაუჩერის გამოყენებისას (განაღდებისას) უნდა შეეძლოს ისარგებლოს ფასდაკლებით;
- განაღდების მიზნით, ვაუჩერის გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს, 2022 წლის არანაკლებ დეკემბრის თვის ჩათვლით;

**,,მიმწოდებელი“**

ინდ. მეწარმე ,,ლენა მექოშვილი''